ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის №24.242305512 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი N2

ზუგდიდი, 17 მარტი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი. სხდომის დაწყების დრო 15:00 საათი.

დღის წესრიგი

1. განსახილველად შემოგვაქვს კრილოვის ქ.N23-ში მცხოვრები, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტის მარიამ ფიფიას განცხადება. მარიამი მიმდინარე წლის 2 თებერვლიდან 3 ივლისის ჩათვლით სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტში Erasmus პროგრამის ფარგლებში გაივლის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის პროგრამას. აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი. მარიამი ითხოვს **ფინანსურ ხელშეწყობას.**
2. განსახილველად შემოგვაქვს ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტის კესო ჩიქოვანის განცხადება. კესო ჩარიცხულია 2021 წლიდან ვენის უნივერსიტეტში, აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი. კესო ითხოვს **ფინანსურ ხელშეწყობას.**
3. განსახილველად შემოგვაქვს აღმაშენებლის ქ. N53-ში მცხოვრები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა)-ს მე-3 კურსის სტუდენტის მარიამ ლაზარიას განცხადება. 2023 წლის 20 თებერვლიდან 31 აგვისტომდე მარიამი ბუდაპეშტის ეტვეშ ლორანდის უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია. მარიამი ითხოვს **ფინანსურ ხელშეწყობას.**
4. განსახილველად შემოგვაქვს აკ.წერეთლის ქ.N138 -ში მცხოვრები, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის თიკო ლაგვილავას განცხადება. 2023 წლის 4-6 მაისს თიკო მოწვეულია სინგაპურში „Change the world" აკადემიის ფარგლებში გაეროს მოდელირების დელეგატად. თიკო ითხოვს **მგზავრობის დაფინანსებას. (თბილისი-სტამბოლი-სინგაპური-თბილისი).**
5. განსახილველად შემოგვაქვს სოხუმის ქ. N61-ში მცხოვრები, სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის მარიამ გულორდავას განცხადება. 2023 წლის 4-6 მაისს მარიამი მოწვეულია სინგაპურში „Change the world" აკადემიის ფარგლებში გაეროს მოდელირების დელეგატად. მარიამი ითხოვს **მგზავრობის დაფინანსებას.(თბილისი-სტამბოლი-სინგაპური-თბილისი).**

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;
- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

პირველ საკითხად მოისმინეს: კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბაკალავრო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტის მარიამ ფიფიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო მარიამ ფიფიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- ვერ განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა, რადგან ის იმყოფებოდა ლექციაზე.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- მიმდინარე წელს პირველად შევიკრიბეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ახლგაზრდების მხარდასაჭერად. მარიამ ფიფიას დაფინანსებას ვუჭერ მხარს და მჯერა კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს თავისი მონდომებით და ნიჭით.

ნინო სიჭინავა- გავეცანი ყველა წარმოდგენილ განცხადებას, ერთ-ერთი მარიამია, ვუჭერ მხარს მის დაფინანსებას და კიდევ ბევრ წარმატებას ვუსურვებ.

მეორე საკითხად მოისმინეს: ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტის, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტის კესო ჩიქოვანის განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო კესო ჩიქოვანის განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა. ინტერვიუ, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

ზამირა ღადუა- კესო ჩიქოვანი მერის სტიპენდიანტია, იგი ძალიან მიზანდასახული და წარმატებული ახალგაზრდაა. მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

გიგლა სულამანიძე- კესოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილია. მისი წარმატება მეტყველებს იმაზე, რომ ის ნამდვილად ყოჩაღი გოგოა და მინდა კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო მომავალში.

მესამე საკითხად მოისმინეს: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ᲥᲘᲞᲐ)-ს მე-3 კურსის სტუდენტის მარიამ ლაზარიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო მარიამ ლაზარიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა. ინტერვიუ, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- კიდევ ერთი წარმატებული ახალგაზრდა ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მარიამ ლაზარიაა. ჩვენი მცირედი ხელშეწყობა სტიმულია ამ ახალგაზრდებისთვის. მათი წარმატება ჩვენი წარმატებაა.

ია ეხვაია- დღევანდელ კომისიაზე განსახილველ განცხადებებს გავეცანი. ძალიან მიხარია ამდენი წარმატებული ახალგაზრდის ხილვა და მათი წარმატების გაზიარება. მე როგორც კომისიის წევრი, მაქვს შესაძლებლობა ასეთ წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსებას მხარი დავუჭირო.

გიგლა სულამანიძე- მარიამ ლაზარიას ბევრ წარმატებას ვუსურვებ მომავალში.

მეოთხე საკითხად მოისმინეს: ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის თიკო ლაგვილავას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო თიკო ლაგვილავას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

- განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა. ინტერვიუ, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- თიკო არის ჩვენი ქალაქის წარმატებული ახალგაზრდა. ის მოწვეულია სინგაპურში გაეროს მოდელირების ფარგლებში დელეგატად. მჯერა, რომ ის ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას და ქალაქს. წარმატებები მინდა ვუსურვო მას.

ნათია ფიფია- ჩვენი ქალაქის ღირსეული მოქალაქეები იქნებიან ეს ახალგაზრდები. რაც შეეხება თიკოს, ის აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდული მიმართულებით, მას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი რომ ჩვენს ქალაქს მოუტანოს წარმატებები და ასახელოს საერთაშორისო ასპარეზზე.

მეოთხე საკითხად მოისმინეს: სსიპ ქალაქ ზუგდიდის N4 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის მარიამ გულორდავას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო მარიამ გულორდავას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს: მარიამ გულორდავა ადგილზე ესწრებოდა კომისიას. კომისიის წევრებს გააცნო მის შესაძლებლობაზე, დაესწროს დიპლომატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ყველაზე დიდ გაეროს მოდელირებას სინგაპურში.

კონსტანტინე კაკავა- როგორც თიკო ლაგვილავა, მარიამიც მოწვეულია სინგაპურში გაეროს მოდელირებაზე დელეგატად. ისინი ერთად მიემგზავრებიან აღნიშნულ მოდელირებაზე და მინდა წარმატებული გამოსვლა ვუსურვო ორივეს ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

გიგლა სულამანიძე- მარიამ გულორდავა აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდულ პროექტებში. წარმატებებს ვუსურვებ მას.

კომისიის წევრების მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად გაეწიოთ ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა დღევანდელ კომისიაზე წარმოდგენილ ახალგაზრდებს.

გადაწყვეტილება:

1. მარიამ ფიფიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს -1500 ლარი.
2. მარიამ ლაზარიას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს-1500 ლარი.
3. კესო ჩიქოვანს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს -1500 ლარი.
4. თიკო ლაგვილავას სინგაპურში გასამგზავრებლად ერთჯერდი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 2000 ლარი.
5. მარიამ გულორდავას სინგაპურში გასამგზავრებლად ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით გამოეყოს 2000 ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

იდა ქვარაია

კომისიის წევრები:

ზამირა ღადუა

ია ეხვაია

კობა ჯიქია

მამუკა ბულია

გიგლა სულამანიძე

ნათია ფიფია

მონიკა შამათავა

ნინო სიჭინავა

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა